პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 25 ივლისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

169 (864)

1 და 2 ქართული მშრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ. ელხმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## შრომასა და კაპიტალს შორის ბრძოლა ინგლისში.

ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესების შესახებ ჩვენ უკვე რამოდენიმეჯერ გვქონდა ლაპარაკი. ამ ჟამად ინგლისის ბურჟუაზია კვლავ აპირებს სამუშაო ხელფასის შემცირებას. ამით ის ახალი შევიწროებით და ტანჯვით ემუქრება ინგლისის პროლეტარიატს.

მომწყვდეული სამრეწველო კრიზისის ჩიხში ინგლისის კაპიტალისტები გამოსავალს ეძებენ მუშათა კლასის გაყვლეფის გადიდებაში. ინგლისის საქონელი ვეღარ პოულობს ფართე გასაღებას მსოფლიო ბაზარზე, რაც დიდ ზარალს აყენებს კაპიტალისტებს. ამათ კი სრულიად არ სურთ თავისი მოგების შემცირება და მოწადინებული არიან კრიზისის სიმძიმე მუშათა კლასის კისერზე გადაიტანონ.

— მაგრამ არც მუშებს სძინავთ. ინგლისის პროლეტარიატი უკვე აღარ წარმოადგენს თავისი ბურჟუაზიის ყურმოჭრილ მონას.

შიმშილმა და გაჭირვებამ, რომელსაც ის განიცდის დიდან იმპერიალისტური ომისა, ბევრი რამ ასწავლა მას. ინგლისის მუშა დღითი დღე რწმუნდება შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობაში ბურჟუაზიასთან. მან შეიგნო, რომ მშვიდობიან მოლაპარაკებით კაპიტალისტებთან ის ყოველთვის მოტყუებული დარჩა მათ მიერ, რასაც დიდათ ხელს უწყობდენ გამყიდველი ბელადები.

დღეს კი ინგლისის პროლეტარიატი სულ სხვა გუნებაზეა. კაპიტალისტების განზრახვას— კვლავ შეუმციროს მას ხელფასი, ის მედგრად წინაღუდგა. მდგომარეობა მეტის მეტად რთულია, ვინაიდან ინგლისის მთელი ბურჟუაზია გადავიდა შეტევაზე.

ამ ჟამად ბრძოლა მუშებსა და კაპიტალისტებს შორის სწარმოებს საქსოვ, სამთო-მადნო და ლითონის მრეწველობაში. მწარმოებლები დაჟინებით მოითხოვენ ხელფასის შემცირებას. მათ ენერგიულად ეხმარებიან გამყიდველი ბელადები, როგორც ტომასი და სხვები. მაგრამ, როგორც რადიო გადმოგვცემს მუშები იოტის ოდენათ არ იხევენ უკან და მტკიცედ დგანან თავის პოზიციებზე.

როგორც არასოდეს ამ შემთხვევაში ინგლისის პროლეტარიატს სჭირია მტკიცე შეკავშირება და სოლიდარობა.

მხოლოდ მთლიან ფოლადი ფრონტით ის გაიტანს თავისას. 1921 წელში დიდი გაფიცვა იყო ინგლისში, რომელიც რამოდენიმე კვირა გაგრძელდა, მაგრამ დაბოლოს მუშები დამარცხდენ. რატომ? იმიტომ, რომ მათ უღალატეს გამყიდველ ბელადებმა, შეიტანეს მათ რიგებში არევ-დარევა რასაც მოყვა ის, რომ რკინის გზელებმა დაარღვიეს მთლიანი ფრონტი.

მაგრამ იმას, რასაც 1921 წელში ქონდა ადგილი 1925 აღარ ექნება. ამ ხნის განმავლობაში ბევრი გამოცდილება შეიძინა ინგლისის პროლეტარიატმა. ის ასე ადვილად აღარ მოსტყუვდა. მან გადასწყვიტა მტკიცედ დაიცვას თავისი უფლებები. ბურჟუაზიის მთლიან ფრონტს ის დაუპირდაპირებს თავისი ერთიან რკინის რიგებს, რომელსაც ვერ გასტეხს ვერავითარი გაიძვერული, გამცემლური ხრიკები გამყიდველი ბელადებისა.

## მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოს საზეიმო პლენუმი.

„მოსკოვი საერთაშორისო პროლეტარიატის დედაქალაქია".

24 ივლისს შესდგა მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომა. სხდომას დაესწრენ გერმანიისა და შვეციის დელეგატები. მოხსენება გააკეთა ტომსკიმ; მან სხვათა შორის მიმართა დელეგაციას—ჩვენ გთხოვთ მხოლოდ ერთს—უამბეთ თქვენ ამხანაგებს მხოლოდ ჭეშმარიტება და სინამდვილე.

უამბეთ, რომ თქვენ აქ ნახედ თქვენი კლასობრივი ამხანაგები, ჭეშმარიტი მოძმენი—მუშები, რომლებსაც შესწევს უნარი არა მარტო ბრძოლისა, არამედ სახელმწიფოს მმართვისაც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ანგარიშები რეალურად წასწევს წინ გაერთიანებისათვის წარმოებულ ბრძოლის საქმეს. გაუმარჯოს მუშათა კლასის გაერთიანებას.

საპასუხო სიტყვით გამოვიდენ, გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე ფრეიბურგი, შვეციის დელეგაციის სახელით სოციალ-დემოკრატი სტენი და შვეციის დელეგაციის თავმჯდომარე ჩილბუგი, რომლებმაც განაცხადეს; საბჭოთა კავშირში ყოფნამ დაგვარწმუნა, რომ კაპიტალიზმი უნდა დაეცეს; ფაქტია, რომ მივდივართ სოციალური რევოლიუციისაკენ; ვგრძნობთ, რომ მოსკოვი საერთაშორისო პროლეტარიატის დედა-ქალაქია, პროფმოძრაობის გაერთიანება უნდა განხორციელდეს.

დასასრულ სხდომა იხურება და ქვეყნდება რეზოლიუცია, სადაც მოსკოვის მუშა ქალები და მუშაკები სალამს უგზავნიან შვეციის მუშებს და გამოსთქვამენ მუშათა კლასის გაერთიანების სურვილს.

# ახალი რადიო-ამბები

## ინგლისში მოსალოდნელია საყოველთაო გაფიცვები.

მიღებულ ცნობების თანახმად სამთო-მადნო მუშათა ფედერაცია აპირობს საყოველთაო გაფიცვების მოწყობას, თუ რომ მეპატრონეები შეაჩერებენ მუშაობას სამთო სამრეწველოებში.

დამახასიათებელია ის, რომ ამას განსაკუთრებით დაჟინებით მოითხოვენ ფედერაციის მემარჯვენე ბელადები.

მუშები მტკიცედ სდგანან გადაწყვეტილებაზე.

მთავრობის წარმომადგენელი შეეცადა დაერწმუნებია ფედერაციის ბელადები, რომ გაფიცვები რევოლიუციის მომასწავებელია"-ო, მაგრამ ფედერაციის ბელადები თავისას ადგიან.

მემარცხენე უმცირესობის კომიტეტი მოწოდებაში მოითხოვს სხვა და სხვა პროფკავშირებზე და უმუშევრებზე დახმარებას; პროფკავშირების მხრივ უმუშევართა დემონსტრაციებზე დახმარებას; მოქმედების კომიტეტების მოწყობას; ბრძოლას საერთაშორისო მთლიანობისთვის და სხვა.

## ინგლისი ახალ კრეისერებს აგებს

ინგლისის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ახალი კრეისერების აგების შესახებ. მიმდინარე წელში აგებულ უნდა იქნეს 4 კრეისერი.

## ჩინეთის ამბები.

### მოელიან ახალ შეტაკებას შანხაიში.

ინგლისი ოინებს მიმართავს, რომ შეანელოს ჩინეთის მოძრაობა მისი ბატონობის წინაალმდეგ.

როგორც შანხაიდან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, მოელიან ახლო მომავალში შეტაკებას ჩან-ძზოლინის ჯარებსა და გენერალ სუნ-ჩუ ნ-ფანის ჯარებს შორის.

ამის შესახებ გაზ. „მინბაო" სწერს: „შანხაის გარშემო სამხედრო შეტაკება დიდი უბედურება იქნება ჩინეთის განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის. ბრიტანეთის აგენტები სცდილობენ საქმის გართულებას, რადგანაც ეს გაამაგრებს ბრიტანეთის დიპლომატიის პოზიციას და ხელს შეუშლის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამიტომ ინგლისი ცდილობს გააჭიანუროს მოლაპარაკება, რადგანაც კარგად იცის, რომ ეს მას სარგებლობას მოუტანს."

## შეურყევი ბოიკოტი.

ჩინეთის მოსახლეობის მხრივ შეუდრეკი ბოიკოტის გამო ქალაქ ფუ-ჩჟოუში, ყველა ინგლისელებმა და მოხელეებმა მიიღეს მიწერილობა დასტოვონ ქალაქი.

## ფინ-იუი-სიანის დეპეშა.

ფინ-იუი სიანმა გაუგზავნა პეკინის მთავრობას დეპეშა, რომელშიაც დაუშვებლად სთვლის რაიმე ცვლილების შეტანას შანხაის სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებულ მოთხოვნილებებში უცხოელებთან მოლაპარაკებისთვის.

## შიმშილობა ჩინეთში.

ხუბეის პროვინციაში, სადაც დაიღუპა ნათესების ორი წილი, მოსალოდნელია შიმშილობა.

ასეთივე ცნობები მოდის სხვადასხვა ოლქებიდან, რომლებიც დაზარალებული არიან წვიმებისაგან.

მეტად სერიოზული მდგომარეობა შეიქნა პროვინცია ხუნანში.

მთავრობამ დაადგინა გააგზავნოს ხუნანის დაზარალებულთა სასარგებლოდ 10.000 დოლარი.

## ჩინეთის რკინის გზელთა დეპეშა ამსტერდამის ინტერნაციონალისადმი.

„დაამტკიცეთ სოლიდარობა არა სიტყვით, არამედ საქმით".

ჩინეთის რკინისგზელთა ფედერაციამ გაუგზავნა ამსტერდამის ინტერნაციონალს შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ჩინეთის რკინისგზელთა ფედერაცია ყოველმხრივ მხარს უჭერს რკინისგზელთა საერთაშორისო გაერთიანებასა და სხვა ორგანიზაციებს შეჰქმნან ერთიანი ფრონტი ჩინეთის მუშათა გაფიცვების დახმარებისთვის.

გაფიცულთა მდგომარეობა უარესდება, ხოლო გარედან დახმარება მეტად გვიან მოსდით. თქვენ მიერ ამ საკითხის გადადებამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩინეთის მუშებზე. ჩვენ მოგიწოდებთ დახმარეაისათვის და დაამტკიცოთ, რომ მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობა არსებობს არა მარტო სიტყვაზე, არამედ საქმეზედაც".

## შიმშილობის საფრთხე ბესარაბიაში.

მოუსავლიანობისა და საკვების სიმცირის გამო ბესარაბიაში ჰყიდიან მუქთად შინაურ საქონელს. მოსახლეობას შიმშილობა მოელის.

## რუმინეთი აძლიერებს სამხედრო ფლოტს.

რუმინეთის სამხედრო სამინისტრო შეუდგა რუმინეთის სამხედრო ფლოტის რეორგანიზაციას. გაძლიერებულ იქნება დუნაისა და შავი ზღვის ფლოტილიები და შეკვეთილ იქნება ახალი გემები უცხოეთში.

## საბჭოთა კავშირში.

### გამასწორებელ სახლში.

23 ივლისს შვეციის დელეგაციამ დაათვალიერა სოკოლნიკოვის გამასწორებელი სახლი. დელეგატებმა დათვალიერების დროს ყოველ საკანში ნახეს გასართობი სათამაშოები, ჟურნალები და გაზეთები.

გამსახლში არის აგრეთვე კინოც.

— სადაა საკნები—კითხულობდენ დელეგატები.

— საკნები ჩვენ არ გვაქვს.

— მაშ როგორ სჯით თქვენ პატიმრებს, თუ რომ ისინი არღვევენ წესრიგს?

— ვართმევთ შეღავათებს, გადაგვყავს დაბალ ხარისხზე. ეს პატიმრებისთვის—დიდი სასჯელია. გამსახლების უფროსმა კორიბლიტმა აუხსნა დელეგაციას გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრების შეღავათები და საერთოდ ვადამდი გათავისუფლების სისტემა.

დელეგაციამ, გამასწორებელ სახლის დათვალიერების შემდეგ განაცხადა:

„ჩვენის მზრით გამასწორებელ სახლში შემოღებული სისტემა უსრუნველყოფს პატიმრებისთვის მშვიდობიან შრომისადმი დაბრუნებას".

# მშრომელი ხალხის გამცემლები პროლეტარული სამსჯავროს წინაშე.

**20 ივლისის სხდომის გაგრძელება.**

**ოკუჯავა:** როდის იყო დაწერილი ფურცელი აჯანყების წინაალმდეგ 1922 წელს, მაშინ როცა ბანდიტები გამოვიდენ თუ, როცა მათი გამოსვლები ჩაქრობის წინ იდგა? რა თვეში?

**დევდარიანი:** ეს იყო სექტემბერში, გამოსვლის დროს, სანამ ამ გამოსვლებს ჩაქრობის ნიშნები დაეტყობოდა.

**ოკუჯავა:** თქვენ სთქვით, რომ ონიაშვილის სამხედრო მუშაობა დაცინვა იქნებოდა; იცით თუ არა თქვენ რომ ონიაშვილი იყო შტაბის წ ვ-რი?

**დევდარიანი:** არა.

**ქარცივაძე:** თუ იცით რამე იმ პოლიტიკის შესახებ, რომელიც სწარმოებდა საზღვარგარედ ლორთქიფანიძისა და ორახელაშვილის მოწერილ პირობების გარშემო?

**დევდარიანი:** ჩვენ მივიღეთ ცნობები საბჭოთა პრესის საშუალებით, ვითომც ჟორდანიას ეთქვას, რომ ლორთქიფანიძისთვის არავის დაევალებია შეთანხმება და ხელის მოწერაო.

ამით თავდება მოწმე სეით დევდარიანის დაკითხვა.

**(21 ივლისის დილის სხდომის დასასრული).**

**მოწმეების ჩვენება.**

**ანდრო ლლონტი** (ყოფილი მენშევიკი, ეხლა უპარტიო).

— ვმუშაობდი წითელ ჯარში—ამბობს მოწმე. დავალებული მქონდა აგიტაცია პროპაგანდა.

1923 წ. დავალება მქონდა შემედგინა დამცემი ორგანიზაცია. მე არ მიმიღია მონაწილეობა. ფილავს დაევალებია სახ. ბანკის გაძარცვა, მაგრამ ვერ მოუხერხე ია.

**ოკუჯავას** შეკითხვაზე ლლონტი უამბობს სასამართლოს, რომ ობოლაძის მკვლელობა ცეკას მოწყობილი იყოო.

**ვარლამ ძიძიგური** დამცველ დადიანის შეკითხვაზე ახასიათებს ბრალდებულს, ეგნატე გაბლიანს როგორც ხალხის მოყვარულ პიროვნებას სვანეთში, მასწავლებელსა, მეცნიერულ მუშაკსა და მწერალს. მის ბოქაულობის დროს ხალხი მისი მადლობელი იყო და 1920 წელში შემოხიზნულ ბოლშევიკებს პატრონობა გაუწია.

ამით თავდება მოწმეების დაკითხვა.

**სალ მოს სხდომა.**

**ბრალდებულების დაკითხვა.**

**ბრალდებული გრიგოლ გიორგაძე.**

— ჯერ კიდევ სანამ მთავრობა წავიდოდა ბათუმიდან—ამბობს ბრალდებული—შეიკრიბა ყველა პარტიების წარმომადგენლები და მთავრობას უნდობლობა გამოუცხადეს. მთავრობას შედგენილი ჰქონდა საზღვარგარედ წამსვლელთა სია. ამ სიაში მეც ვიყავი, მაგრამ უარი განვაცხადე წასვლაზე, ვინაიდან ხალხი უკმაყოფილო იყო მთავრობაზე, მით უფრო ვინც საზღვარგარედ მიდიოდა. ჟორდანიამ დამიბარა და მითხრა,—კაცო, შენ აქ მთავრობის წარმომადგენლად იყავი, შენი მოხსნა ჩიჩერინმაც კი მოითხოვა და ამიტომ შენ გაგაწვალებენ კომუნისტები და წამოდიო. მე მაინც უარი ვსთქვი. მე ამას ვამბობ იმიტომ, რომ ნათელვყო, თუ რა იყო ჩვენი დარჩენის მიზანი—აჯანყების მოწყობა თუ სხვა რაიმე.

ამრიგად ბათომშივე შეიქნა პირობები საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებისა.

„სხივლებს“ არავითარ საორგანიზაციო მუშაობა არ უწარმოებიათ ტფილისში და არც პროვინციაში. ხდებოდა მხოლოდ კრებები და კეთდებოდა მოხსენებები შეიარაღებულ გამოსვლებისა და ინტერვენციის წინააღმდეგ. მთავრობამ ნება დაგვრთო გამოგვეშვა გაზეთი, რომელშიაც ჩვენ ვაშუქებდით მენშევიკების წარსულ მუშაობის უვარგისობას და ამასთან სოციალისტურ კრიტიკასაც ვაწარმოებდით. სხვა და სხვა მიზეზების გამო მალე გაზეთი დაიკეტა და დაიკეტა აგრეთვე ბიუროც.

ეხლა, რა პირობებში აღიძრა აზრი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ: ჯერ კიდევ 1921 წელს, ბიუროს ლეგალურ არსებობის დროს მუხრან ხოჯოლავამ სთქვა, რომ პარტიები რაღაც მოლაპარაკებას აწარმოებენო. დადიოდა ხმები, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩქარა გავიდოდა საქართველოდან.

არავითარი იმედი ევროპის არ გვქონდა, ვინაიდან მთავრობაში ყოფნის დროს კარგად ვხედავდი, რომ ევროპის წარმომადგენლები ცდილობდენ როგორმე წავექციეთ ჩვენ.

ჩვენ ვებრძოდით ამ აზრს, მაგრამ არ გვქონდა არც გაზეთი, არც სტამბა და არც სხვა რამე საშუალება. ასეთ პირობებში მუხრანმა მითხრა, რომ პარტიებში რაღაც მოლაპარაკება არისო. ჩვენ ვუთხარით მას-გაეგო რაში იყო საქმე. მუხრანი დაესწრო კიდეც მოლაპარაკებას და მოგვიტანა ამბავი: საკითხი ისე სდგას, რომ ბოლშევიკები მიდიან და რომ სამოქალაქო ომი არ მოხდეს, უნდა მივიღოთ ზომებიო საკითხი ისე დადგა,-თუ ვინ უნდა ყოფილიყო ბოლშევიკების მემკვიდრე.

შემდეგ ბრალდებული ლაპარაკობს ჩოლოყაშვილის გამოსვლებზე და ამბობს, რომ ეს გამოსვლა ნაც. დემოკრატიულ პარტიის წევრის ვაჩნაძის საქმე იყო. იმ ხანებში-ამბობს ის ჩამოვიდა ნოე ხომერიკი.

ხოჭოლავას ბინაზე 22 წ. დეკემბერში, სადაც ხდებოდა ჩვენი ცეკას სხდომა, გამოირკვა, რომ მენშევიკების და პარიტეტის სხვა პარტიები უდღეუკავშირდენ ჩოლოყაშვილის ბანდებს, რომ ობოლაძის მკვლელობა მენშევიკების საქმეა და სხვა.

„სხიველების“ პარტიამ ამ ხანებში გადასწყვიტა პარიტეტულ კომიტეტიდან გამოსვლა დეკემბერში მოკვდა მუხრან ხოჭოლავა.

შემდეგ ახალგაზრდებმა მოითხოვეს მენშევიკებთან გაერთიანება.

დასასრულ ბრალდებული აცხადებს, რომ ის აჯანყების მომხრე არ ყოფილა და არც „სხიველებს“ მიუღიათ მონაწილეობა ამ საქმეში.

ეხლა მე პოლიტიკურად მკვდარი ვარ, ამბობს ბრალდებული, ხოლო რაც შეეხება ჩვენს პარტიას, ის უწინაც თავისთავად არაფერი წარმოადგენდა, ეხლა მითუმეტეს—მისგან არაფერი დარჩენილა.

**ბრალდებული ნიკიფორე იმნაიშვილი.**

**თავმჯდომარე**—რომელ პარტიას ეკუთვნით?

1904 წლიდან 1920 წლამდე სოც. დემოკრატიული პარტიის წევრი ვიყავი, ხოლო შემდეგ 1923 წლამდი „სხიველი“. ამ ჟამად უპარტიო ვარ.

## შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ № 165-–ში გაიპარა შემდეგი შეცდომა: ანგარიშში—

„მშრომელი ხალხის მოღალატეები პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე“-არის:

**ქავთარაძე:** მაშასადამე მენშევიკები იცავენ ამ შემთხვევაში სრულიად რევოლიუციონურ საქმეს...

უნდა იყოს „მაშასადამე მენშევიკები იცავენ ამ შემთხვევაში **სრულიად რეაქციონურ საქმეს.**

# სამხედრო საქმე

## ქვეითი ჯარის ძალა—სად ფეხებშია.

ბრძოლის დროს ჯარები დროს მომეტებულ ნაწილს გადასვლა-გადმოსვლისა და ლაშქურლი წესით მოძრაობაში ატარებენ. ასეთი მოძრაობა ხშირად მეტად ხანგრძლივი და გაძლიერებულია განსაკუთრებით მანევრულ ომში, რომლისთვისაც წითელი არმია უნდა ემზადოს. მაშასადამე ქვეითი ჯარი უნდა იყოს მოძრავი და ფეხმარდი. გააკეთოს (გაიაროს) ნორმალური (20-25 ვერსი) მანძილი და მეტიც და მივიდეს დანიშნულ ალაგს ჯან შენახულად და მთლიანად—ამას შესძლებს მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს შეჩვეულია ლაშქრული წესით მოძრაობას.

მოძრაობისა და გადასვლის წარმატება მჭიდროდაა დაკავშირებული წითელ არმიელის ფეხის მდგომარეობაზე. თუ რომ ფეხი ღონიერი, მლიერი და საღია—წინსვლაც წარმატებითია. ხოლო იმისთვის, რომ ფეხი საღად შეინახო—საჭიროა კარგად მოუარო მას, უნდა იცოდე კარგად ჩაცმა, თვალყურს უნდა ადევნებდე ფეხსაცმელის მდგომარეობას. ცუდად დახვეული ფეხსახვევი უცებ მოგწვავს ფეხს, ხოლო ამოწვერული ლურსმანი იარას გაგიჩენს—აკოჭლდები და ჩამორჩები. გამოეთიშები, როგორც იტყვიან—რიგებს, ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ ნაწილს ძალა მოაკლდა. და აი, რაც მეტია ასეთი ჩამორჩენილი, ე. ი. ასეთი დაუდევარი წითელ არმიელი, იმდენად მეტი და მეტი ძალა აკლდება ნაწილს. თვითეულ გადასვლაზე უფრო და უფრო სუსტდება ნაწილი. ეხლა კი ცხადია მეომრებისთვის, თუ რატომაა ქვეითი ჯარის ძლიერება დამოკიდებული ფეხის მდგომარეობაზე, მის კარგად მოვლაზე.

თუ რომ ლაშქრული წესით მოძრაობის დროს წითელ არმიელი იგრძნობს, ფეხსაცმელი ვერ აქვს წესრიგზე—მაშინვე უნდა გაისწოროს. ღამით შესვენების დროს ფეხზე უნდა გაიხადო და უნდა დაიბანო ცივი წყლით. ცოტა ხნით მოძრაობიდან შესვენების დროს ფეხი რომ არ დასივდეს ცოტახნით უნდა წამოწვე და ფეხები მომაღლოდ უნდა დაიკავო.

ამ რიგად ფეხის მოფრთხილებაზე დამოკიდებულია ლაშქრული წესით მოძრაობის წარმატება. მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა ყველა შენი საჭურველი ისე მოასადაგო, რომ არ გიშლიდეს სუნთქვას (რომ მკერდი არ იყოს შებოჭილი) და არ აწვებოდეს და ეხახუნებოდეს სხეულის რომელიმე ნაწილს. წითელ არმიელს თან მიაქვს ყველი აუცილებელი საჭირო პარკში, ტომარში და პარკუჭებში; ამას გარდა—ფარაჯა, აირმსპობი, გრანატები, ბარი; მას აქვს საკუთარი პირადი ნივთებიცა და საბრძოლო მარაგიც. ყოველივე ეს განსაზღვრული წონისაა. მაგრამ საქმე ის კი არაა, რომ შეამციროთ ამ ტვირთის წონა 3—5 გირვანქით, არამედ ის, რომ წესიერად გაანაწილო ის, სახელდობრ ისე, რათა ტვირთი გიკიდოს სხეულის უფრო ღონიერ ნაწილებზე (მხრებზე, ზურგზე) და არ ავიწროებდეს სუსტ ნაწილებს (ყელს, ყრონტს). ზედმეტი არაფერი არ უნდა წაიღო, რომ არ გაადიდო ტვირთის წონა.

ამრიგად მუდმივი ზრუნვა თავის ფეხებზე და წესიერად ტარება საჭურველის ინახავს მეომრის, და მაშასადამე, მთელი ნაწილის ძალასაც.

ქ.

# მეტი ყურადღება ცნობათა ბიუროებს.

აგერ თვეზე მეტია, რაც ტერნაწილები შეივსენ ახალწვეულ ცვალებად წითელ არმიელებით. გვებადება აზრი: დავახვედრეთ თუ არა ჩვენ ახალწვეულ გლეხებს და მუშებს სათანადო დონეზე დაყენებულ ცნობათა ბიუროები ნაწილებში? გვაქვს თუ არა ჩვენ საშუალება თავის დროზე და მარტივად მივსცეთ ჩვენ ახალწვეულებს პასუხი ყველა იმ კითხვებზე, რომელნიც მათ აწუხებენ?

ასეთ შინაარსის შეკითხვებზე მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეიძლება დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა. უმრავლეს ნაწილებში კი ცნობათა მუშაობის საქმე საგრძნობლად მოისუსტებს.

ცვალებადი წითელი არმიელი უმთავრეს შემთხვევაში გლეხია და ქალაქში ჩამოსვლისას მას თან მოაქვს სოფლიდან მთელი რიგი კითხვებისა, რომელზედაც მას ქონდა იმედი ჰპოვოს პასუხი თავის ნაწილში ჩამოსვლისას და შეიძლება განმარტებითი პასუხი გაგზავნოს სახლში წერილის სახით.

აი ეს მომენტი არ უნდა იქნეს უყურადღებოდ დატოვებული და ჩვენმა ცნობათა ბიუროებმა თავის ცოდნით და სახელმძღვანელო და საკანონმდებლო მასალით ყოველგვარი დახმარება გაუწიონ წითელ არმიელებს ამა თუ იმ საკითხის განმარტების საქმეში.

ცნობათა მუშაობა სკოლის გარეშე მუშაობის ერთ-ერთ მთავარ დარგთაგანი არის, ამისათვის მთელ პასუხისმგებლობა ამ მუშაობის დაყენების საქმეში აწევება ნაწილის კლუბის უფროსს.

**ცნობათა ბიურო ლენკუთხეში.**

ცნობათა ბიუროსათვის ლენკუთხეში უნდა იქნეს გამოყოფილი ცალკე კუთხე.

ამ კუთხის მოწყობილება ჩვენ გვეჩვენება შემდეგნაირად: მაგიდაზე დევს კითხვა-პასუხების რვეული ფანქარით.

აქვე დევს წიგნი: „წითელ არმიელების შეღავათების კოდექსი“. კედელზე გაკრულია დიდ ფურცელ ქაღალდებზე სხვილი ასოებით დაწერილი ან გაზეთებიდან ამოჭრილი საბჭოთა მთავრობის უკანასკნელი დადგენილებანი (შეიძლება მოკლეთ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, ტყით სარგებლობის, მიწის განაწილების, ადგილობრივ ხელისუფლების მოვალეობების, პარტიის უკანასკნელი დადგენილებები სოფლად მუშაობის შესახებ და სხვა მეტად შესანიშნავი დეკრეტები და დადგენილებები.

შეიძლება აგრეთვე კედელზე გაკვრა ყველა იმ საყურადღებო კითხვა-პასუხების, რომლებიც ჩაწერილი იქნება კითხვა-პასუხის რვეულში.

ამას გარდა ამ ცნობათა ბიუროს კუთხეში უნდა იქნეს გაკრული მისამართი ყველა იმ დაწესებულებების და ორგანიზაციების, რომელნიც ამ ქალაქში ითვლებიან, და რომელნიც ცოტათ თუ ბევრათ დაკავშირებული არიან როგორც უფრო მაღალი ინსტანცია სოფელში მუშაობასთან.

უმთავრესი ყურადღება ბიუროს მუშაობის ხელმძღვანელმა უნდა მიაქციოს კითხვა-პასუხის რვეულის წარმოებას.

პასუხი მუდამ უნდა იქნეს თავის დროზე და გარკვევით დაწერილი, რისთვისაც ასეთმა ხელმძღვანელმა უნდა სინჯოს რვეული ყოველდღიურად ერთჯერ მაინც, ვინაიდან დაგვიანებით გაცემულ პასუხს უკვე ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება და უკანასკნელი შემთხვევის შემდეგ წითელი არმიელი სხვა შემთხვევაში ირჩევს მიმართოს სხვა საშუალებას და ცნობათა ბიუროს კი დაეშორება.

ამ კითხვა-პასუხის რვეულებიდან შეიძლება აგრეთვე იმ კითხვების გამორკვევა, რომელნიც ამ ჟამად წითელ არმიელებს აწუხებს და აგრეთვე მათი განწყობილების შესახებ დასკვნის გამოტანა.

(გაგრძელება იქნება).

**მესხეთელი.**

# არმიის მე-4 ოლიმპიადა.

## მე-4 დღე 23 ივლისი.

**ხტომა სიგრძეზე გარბენით.**

ამინდი დილიდანვე კ რგია, ზომიერი ქარი, მოედანზე მტვერი არ სდგას.

**სირბილის გაგრძელება 100 მეტრზე.**

ფინალში გამოდიან:

სერგეევი (ტფ. 3. სკოლა)—12,2 წამი. შხვარცვბაია (მე-3 ქართ. ლეგ.) 1 2,3 წუთი. გუგუევი (ტ. 3. ს.) 1 2,3 წამი. პლეცი (სომხ. სკოლა)—12,4 წამი. ევსტიფეევი (მე-4 კავკ. მს. ლეგ.)—12,5 წამი. შუპიკოვი (აზდივ. მე-3 ტერლეგიონი)—13,2 წამი.

**სირბილი ბარიერზე 100 მეტრი.**

შეჯიბრის შედეგად ნახევარ ფინალში გამოდიან:

კუზმინი (ტ. 3. ს.)—19,6 წამი. კოჩეტოვი (სამხ. 3. სკ)—20,0 წამი, ადამოვი (ტ. 3. სკ.)—21,1 წამი. ანტონოვი (მე-3 ტერლეგიონი)—21,5 წამი. ბოდროვი (მე-5 კავკ. მსროლელი ლეგიონი)—21,9 წამი. ანოშკინი (მეორე კავკ. მსროლელი ლეგიონი)—22,3 წამი.

**ბ რთვის ბიძგვა.**

1-ლ ადგილზეა სერგეევი (ტ. 3. ს. კ.)—11 მეტრი, 67 სმ. მე-2—ევსტიფეევი (კავკ. მე-4 მსროლელი ლეგიონი)—10 მეტრი 08 სმ. სე-3 შალომანოვი (კავკ. მეორე მსრ. ლეგიონი)—9 მეტრი 39 სმ. მე-4 ადამოვი (ტ. 3. სკ.)—9 მ. 36 სმ. მე-5 შუპიკოვი (მე-3 ტერლეგიონი)—9 მ. 08 სმ. მე-6 ანტონოვი (მე-3 ტერლეგიონი)—8 მ. 98 სმ.

22 ივლისს საღამოს შესდგა ფუტბოლის შეჯიბრი სომხ. მეორე ლეგიონსა და კავკასიის მე-7 ლეგიონს შორის. შედეგი: 3—0 ძლიერი ქარი და მტვერის ბუღი მეტად აძნელებდენ თამაშობას.

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## ნიშანში სროლის შედეგები დამაკმაყოფილებელია.

(მე-6 ლეგიონის მე 3 ასეული).

ჩვენი ტერ-ლეგიონში დიდი ხანია რაც დაიწყო პრაქტიკული სროლა ნიშანში შაშხანა თოფებიდან. ცვალებადელები ძალიან დაინტერესებულნი არიან ამ საქმით და თვითეული მათგანი ცდილობს ტყვიამ უბრალოდ არ დასწვას ვაზნა და მოახვედროს მიზანს.

სროლა მიმდინარეობს რიგრიგობით, ასეულების მაშტაბით. ამ რამოდენიმე დღის წინად ჯერი მიდგა ჩვენი ლეგიონის მე-3 ასეულზე.

ნაშუადღევის 4 საათზე ასეული წყობილებით გაეშურა წინდაწინ მომზადებულ სასროლ მინდვრისკენ.

ცოტა ხნის შემდეგ მიუახლოვდით დანიშნულ ადგილს. ასეული დაყოფილ იქნა რამოდენიმე ცვლად.

— ცეცხლის ხაზზე ნაბიჯით !—გაისმა ასეულის უფროსის განკარგულება.

პირველი ცვლა უახლოვდება ცეცხლის ხაზს და წოლილა იღებს ნიშანს მიზანში.

ისმის ბუკის ხმა, რაც ნიშანია სროლის დაწყების.

სტვენის ხმა აცნობს ამხანაგებს სროლის დამთავრებას.

ყველანი ზეზე დგებიან და მიეშურებიან ნიშნის დასათვალიერებლად.

დათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ საერთოდ სროლის შედეგი დამაკმაყოფილებელია. ზოგს 4 ვაზნაში 3 ჰქონდა მიზანში მოხვედრილი, ზოგს კი 2.

შემდეგ ესვრის მეორე ცვლა და ასე ბოლომდე, სანამ მთელი ასეულის ცვალებადელებმა არ გაიარეს ის.

სროლის დამთავრების შემდეგ საღამოს ექვსის ნახევარზე ასეული მხიარული სიმღერით დაბრუნდა ყაზარმაში.

სამხკორი 6. ასათიანი.

## ჩვენი საქმიანობა.

(4-ლეგ. მე-2 ათასეული).

მე-2-რე ათასეული ახალწვეულების მოსვლისთანავე შეუდგა ამათი აღზრდას. ათასეული არ შურავს თავის ძალღონეს რათა წვევამდელები მომზადებულნი დაუბრუნდეს სოფლებს.

**კომუჯრედის მუშაობა.**

კომუჯრედი აწარმოებს ახალწვეულებში აღმზრდელობითი მუშაობას, აწყობს ღია კრებებს, სადაც მონაწილეობას ღებულობენ ახალწვეულების 60 პროც. კრებაზე ირჩევა საინტერესო საკითხები, რომლის გარჩევაში უშუალო მონაწილეობას ღებულობენ ახალწვეულები.

**სამხედრო მეცადინეობა.**

უნდა ითქვას, რომ ეს დარგი ჩვენს ათასეულში ჩინებულად არის დაყენებული, რომელსაც გვიჩვენებს ყოველ შაბათობით განვლილი მეცადინეობის დადებითი შეფასება. სასწავლო სროლა უკვე დაწყებული გვაქვს.

**პოლიტ-მეცადინეობა.**

ამ დარგში არის პატარა ნაკლი. წითელ ჯარში შემოღებულია კომპლექსიური მეთოდი, მაგრამ ამ მხრივ არ მოგვეპოება არავითარი სახელმძღვანელო, რომლის საშვალებით შევძლოთ ამ დიადი საქმის 100 პროცენტით შესრულება.

ათასეულში არის 5 ჯგუფ. თითეულ ჯგუფს ყავს მიმაგრებული ხელმძღვანელები.

საერთოდ პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა სასურველად მიმდინარეობს, თუ არ მივიღებთ ცხედველობაშ ზემოაღნიშნულ დეფექტს.

**საკლუბო მუშაობა:**

ეს დარგი ჩვენ ათასეულში კარგადაა დაყენებული.

კლუბში არსებობს 4 წრე: 1. პოლიტ-სკოლა. 2. დრამატიული. 3. სამხკორთა და 4. მომღერალთა. კვირაში წარმოდგენა მიდის ერთხელ. თამაშობენ თვით წითელ არმიელები.

საბიბლიოთეკო საქმე ცუდათაა. ბიბლიოთეკა ცარიელია.

**ლენინის კუთხე.**

კუთხეს აქვს შემდეგი განყოფილებები: 1. ცენტრალური ლენ-კუთხე, 2. წითელ არმია, 3. სამეურნეო განყოფილება, 4. სანიტარული და 5. პოლიტიკური. ლენ-კუთხეში გამოყოფილია აქტივი წითელ არმიელები, სადაც სწარმოებს მეცადინეობა.

**დისციპლინა.**

ახალწვეულ წითელ არმიელებში დისციპლინა მტკიცედ იკიდებს ფეხს.

სამხკორი კ. ბალათურია.

## არტილერიის ინსპექტორი ჩვენთან

მე-2 არტლეგიონი.

შაბათს, 17 ივლისს, ქვემეხზე მეცადინეობის დროს ჩვენ გვესტუმრა ამიერ-კავკასიის არტილერიის ინსპექტორი. არტლეგიონის დათვალიერების შემდეგ ამხ. ინსპექტორმა გამოიყვანა ერთი მესამართე და უთხრა მას:

— აბა, თქვენ მიმართეთ ქვემეხი ამა და ამ წერტილს.

მესამართემ იმდენად სწორად მიმართა ქვემეხი წერტილს, რომ არტილერიის ინსპექტორი აღტაცებაში მოიყვანა.

ამის შემდეგ არტილერიის ინსპექტორი გვესაუბრა ჩვენ ყოფაცხოვრებაზე.

სამხკორი ქვემეხი.

## სპორტი მეხუთე ლეგიონში.

21 ივლისს მე-5 ქართულ ლეგიონმა მოაწყო სპორტწრის გამოსვლები ქალაქის ცირკში, სადაც დაესწრენ მთელი ლეგიონის წ. მოლაშქრეები და უფპოლიტშემადგენლობა.

წინასწარი მოხსენება გააკეთა ექიმ წერეთელმა, რომელმაც გააცნო ხალხს ფიზკულტურის მნიშვნელობა და მოუწოდა წითელ არმიელებს ხელი შეუწყვეთ სოფლად ფიზკულტურის გავრცელებასო.

მოხსენების გათავების შემდეგ გაიმართა 1-ლი თავისუფალი ვარჯიში. ხელმძღვანელობდა სპორტწრის ხელმძღ. ებანოიძე. მე-2ე ვარჯიშში იყო ხტომა სიგრძეზე, მე-3 ვარჯიში ღერძზე. ეს ვარჯიშები კარგად იქნა შესრულებული, მე-4 ვარჯიში იყო ხტომა სიმაღლეზე. გადახტა 150 სანტიმეტრზე წ. მოლაშქრე საკავშირო გუნდისა; შემდ. მე-5-თე ხტომა სიმაღლეზე ჭოკით, აქაც სიმარჯვე გამოიჩინა ზემო აღნიშნულ წ. მოლაშქრემ.

ბოლოს გაიმართა ქართული ჭიდაობა, სადაც მონაწილეობას ღებულობდენ წ. მოლაშქრეები. სპორტწრის გათავების შემდეგ მთელი ლეგიონი სამხედრო მუსიკით გამოვემგზავრეთ ყაზარმაში.

სამხკორი კოლო.

## დამხმარე ჯგუფის მუშაობა.

მე-2 არტლეგიონი.

16 ივლისს შესდგა შეერთებულ ბატარეის ა. ლ. კ. კ. კრება.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. ა. ლ. კ. კ. დამხმარე ჯგუფის მუშაობა და მისი ამოცანები, 2. ახკორის ამორჩევა და 3. მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზედ მოხსენება გააკეთა ლეგიონის ორგანიზატორმა ამხ. კომპლექტაძემ, რომელმაც ფართოდ აგვიხსნა დამხმარე ჯგუფის მოვალეობა, ტერნაწილში. იყო შეკითხვები, რასაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა მომხსენებელმა. შემდეგ კრების მიერ არჩეულ იქნა ახკორად ქართულ გაზეთებისათვის ამხ. ბაღდადაშვილი და რუსულ ამხ. სემიონოვი. მიმდინარე კითხვებში განხილულ იქნა სხვა და სხვა წვრილმანი საკითხები. უსურვებთ შეერთებულ ბატარეების დამხმარე ჯგუფს ენერგიულ მუშაობას.

სამხკორი. ვ. ბ—ძე.

## ლექცია ლოთობის წინააღმდეგ.

ამ რამოდენიმე დღის წინად ჩვენი ტერ-ლეგიონის მე-3-მე ასეულის ცვალებადელებს ლეგიონის უნცროს ექიმმა წაუკითხა ლექცია ლოთობის და მაგარი სასმელების ხმარებით გამოწვეულ ავადმყოფობის შესახებ, რამაც ძალიან დააინტერესა ამხანაგები.

ამხ. ექიმს აუარებელი შეკითხვები მისცეს ჩვენმა ცვალებადელებმა, რაზედაც მიიღეს დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება.

განსაკუთრებით ძალიან დაინტერესდენ ცვალებადელები, როდესაც ამხ. ექიმმა განუმარტა მსმენელებს, თუ როგორ მოქმედობს საერთოდ ლოთობა ჩამომავლობაზე: „ლოთი კაცს ყოველთვის შვილი არა ნორმალური გაუჩნდებაო“ აღნიშნა ამხ. ექიმმა.

—ბიჭო თედო, შენ რომ ღვინისა და არაყის სმა გიყვარს, თავი დაანებე, თუ გინდა ჩერჩეტი შვილი არ გეყოლოს, გაეხუმრა ერთი ცვალებადელი საუბრის დამთავრების შემდეგ თავის ამხანაგს, რამაც სიცილი და ოხუნჯობა გამოიწვია ამხანაგებში.

კარგი იქნება, რაც შეიძლება ხშირად წაგვიკითხავდეს ჩვენი ექიმი ასეთი შინაარსის ლექციებს.

სამხკორი —ნი.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## როგორ ვმუშაობთ ბანაკში.

(მე-3 ლეგიონი.)

ჩვენი ბანაკი საუცხოვოდ არის მოწყობილი. მეცადინეობა, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო დარგში სისტემატიურად სწარმოებს. პოლიტსაათი ტარდება ჯგუფურად და კომპლექსიურად. წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაცია წარმატებით მიდის.

ყოველი წით. არმიელი დაინტერესებულია ცოდნის შეძენაში.

ჯერ-ჯერობით მოწყობილი გვაქვს ექვსი ლენინის კარავი.

ლენინის კუთხეები უზრუნველყოფილია წიგნებით და გაზეთებით. კუთხეებში არის ქართულ გაზეთების გარდა რუსული, სომხური, ოსური და სხ. კარვებში სწარმოებს ხმამაღალი წიგნების კითხვა და წაკითხულის გარჩევა, არის კითხვა-პასუხის რვეული.

გვაქვს კავშირი სხვა ნაწილებთან და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

ჩვენი და სომხების ნაწილის შეფობის ქვეშ არის აყვანილი ს. ბეკანი. უგზავნით გაზეთებს და წიგნებს.

დაუღალავად მუშაობს აგრეთვე საკავშირო კომისია.

კარგათ გვაქვს მოწყობილი სამკითხველოც, ყავს მკითხველების საკმაო რიცხვი.

ხშირად იწერებოდა ჩვენი ლეგიონის სამკითხველოს უარყოფითი მხარეებზე, მაგრამ ეს ეხლა ყოველივე გამოსწორებულია.

გ—ტი.

## ექსკურსია სტამბაში.

ამ დღეებში სკოლის გარეშე მუშაკები-ბიბლიოთეკარები გავემგზავრეთ განოვის ქუჩაზე წიგნის საკინძავ სახელოსნოს დასათვალიერებლად. წიგნის საკინძავის გაცნობა ყოველი ბიბლიოთეკარისათვის საჭიროა.

სამწუხაროდ იმ დღეს სახელოსნო დაკეტილი დაგვხვდა.

იძულებული ვიყავით უკანვე დავბრუნებულიყავით.

ჩვენ შრომას, რომ მუქთად არ ჩაევლო განვიზრახეთ სტამბის დათვალიერება.

შევედით იმავე ქუჩაზე მოთავსებულ სტამბაში, სადაც კარგად შეგვხვდენ მუშები. დაგვატარეს მთელი სტამბა, გვაჩვენეს ყველა მანქანები და აგვიხსნეს, თუ რამდენი დრო და შრომა იხარჯება თვითეულ წიგნის აწყობაზე და ბეჭვდაზე. ზოგიერთი შეუგნებელი მოქალაქე კი როგორ უხეშად ეპყრობა წიგნს.

ჩვენი ექსკურსია ნაყოფიერი იყო და კმაყოფილი წამოვედით იქიდან.

სამხკორი წ.-ა. კურსანტი ოგანოვი.

## საერთო კრება.

სამშაბათს, 21 ივლისს, შესდგა მეორე არტლეგიონის ტერ-არმიელების საერთო კრება. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1 საერთაშორისო მდგომარეობა, 2. დამხმარე კომისიის არჩევა, 3 მიმდინარე საკითხები. მოხსენება გააკეთა ამხ. კილურაძემ ქართულ და რუსულ ენაზე. მომხსენებელი შეეხო ჩვენი ქვეყნის და ბურჟუაზიულ ქვეყნების ეკონომიურ მდგომარეობას.

იყო შეკითხვები, ამხ. კილურაძემ დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. კრების მიერ არჩეულ იქნა დამხმარე კომისია ხუთი კაცისაგან და ორ კანდიდატისაგან.

უსურვებთ ამხანაგებს გულმოდგინეთ შეესრულებიოთ თავიანთი მოვალეობანი.

სამ. ქ—ხი.

## „რემედასის“ გამგეობის საყურადღებოდ.

ქართ. ცხ. ლეგიონი.

ქართულ ცხენოსან ლეგიონის „რემედასის“ გამგეობა გულგრილად ეკიდება თავის მოვალეობას. 1924 წლიდან თითქმის ყველა 100 პროც. წითელი არმიელებისა „რემედას“-ის წევრებად ითვლებიან.

ერთი წელი გადის აგერ და წევრებს ჯერ-ჯერობით საწევრო წიგნაკები არ მიუღიათ და არც საწევრო გადასახადისთვის არავის მოუკითხავს მათთვის.

მართალია, თითო კაპეიკს ვიხდით, მაგრამ რამოდენიმე ასეული თითო კაპეიკიდან თანხა იქმნება და ეს ცოტა დახმარებას მაინც გაუწევს ჩვენს დატანჯულ, სარდაფებში მოთავსებულ ძმებსო,—ამბობენ წითელ.არმიელები.

„რემედასი“-ს გამგეობავ, დროა ენერგიულად ხელი მოკიდოთ დაკისრებულ მოვალეობის ასრულებას.

წ.-არმ. ჩახაია.

## ჩვენი მუშაობა.

მე-3 ლეგიონი.

13 ივლისს შესდგა ჩვენი ლეგიონის მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება საკავშირო კომისიის ექვსი თვის მუშაობის შესახებ და კომისიის ახალი არჩევნები, 2. მოხსენება სამნეო დამამარე ჯგუფის და ახალი ჯგუფის არჩევნები, 3. მოხსენება რემედასის შესახებ და 4. მიმდინარე საკითხები. საკავშირო კომისიის შესახებ მოხსენება გააკეთა ლეგიონის სამხედრო კომისარმა ამხ. თავართქილაძემ. ის ვრცლად შეეხო კომისიის მუშაობას.

ამ ექვსი თვის განმავლობაში კომისიას გაურჩევია 115 განცხადება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, წითელ არმიელთა შეღავათებზე და სხვა.

კრებას მომხსენებელმა გააცნო აგრეთვე საკავშირო კომისიის როლი საშეფო სოფლებთან. კომისიამ მოაწყო შეფობა სოფ. წყალტუბოზე, რომელსაც ეგზავნება ლეგიონის მიერ 15 ცალი გაზეთი. საკავშირო კომისიის საშუალებით ლეგიონს აქვს კავშირი ბეკამთან, სადაც იგზავნება 9 ცალი გაზეთი.

მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე. იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა.

შემდეგ არჩეული იქნა ხუთი წევრი—სამი უფპოლიტშემადგენლობიდან და ორი კი წითელ-არმიელებიდან. სამნეო დამხმარე ჯგუფის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩხარტიშვილმა, რომელმაც ლართოდ გააცნო კრება დამხმარე ჯგუფის ექვსი თვის მუშაობას, როგორც მოხსენებიდან გამოირკვა ჯგუფის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. ერთხმად არჩეულ იქნა ისევ ძველი წევრები ორი კანდიდატის დამატებით წითელ არმიელებიდან. მოხსენება რემედასის შესახებ დაგვიანების გამო გადადებულ იქნა, რის შემდეგაც კრება დაიხურა. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ენერგიით ჩვენი ლეგიონი ღირსეულად შეასრულებს.

ლოზუნგს: „პირი სოფლისაკენ“.

გ—ტი.

# პარტიული ცხოვრება.

## მე-5-ე ლეგიონის მე-3-ე ათასეულის კომ-უჯრედში.

ათასეულის კომ-უჯრედში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს.

უჯრედს ყავს საკმაო პარტიის წევრები. უჯრედთან არის ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს პარტ-მუშაობას ათასეულის მაშტაბით. კომ-უჯრედთან ცალკე გამოყოფილია ა. ლ. კ. კ-ს ჯგუფის ორგანიზაცია. ჯგუფს ყავს თავისი მდივანი. კრება იწვევა კვირაში ორჯერ.

კომ-უჯრედს მტკიცე კავშირი აქვს სამოქალაქო პარტორგანიზაციებთან, აგრეთვე ცვალებად შემადგენლობასთან სოფლებში.

სამხკორი ყულისკარელი.

## მე-3 კომუჯრედის მუშაობა.

ქართ. მეთ. სკოლა.

1 აპრილს მოხდა ქართ. მეთაურთა სკოლის № 3-მე კომუჯრედის ბიუროს გადახალისება. იქნა არჩეული ბიუროს ახალი შემადგენლობა.

ახლად არჩეული ბიურო ენერგიულად შეუდგა მუშაობას. მო-წესრიგასაწევროგადასახადის საკითხი. ხელი შეუწყო აპრილში შვებულებაში მიმავალ კურსანტებისთვის სახელმძღვანელოების დარიგებას და მათი მომზადებას. სწარმოებს პარტამხანაგების აქტიურ მუშაობაში ჩაბმა და მათი მიმაგრება სხვა და სხვა უჯრედებზე. უჯრედმა გამოუწერა რამოდენიმე სოფლების ქოხ-სამკითხველოებს გაზეთები. უჯრედი აგრეთვე ყურადღებას აქცევდა უპარტიო ამხ. მუშაობას.

აწყობდა კრებებს სისტემატიურად.

ბანაკად გასვლის შემდეგ უჯრედმა შეიმუშავა საზაფხულო პერიოდში სამუშავო გეგმა და მრავალი ახალი ამოცანები დაისახა უჯრედმა მიზნად. კავშირი დაიჭირა სოფლების და ბანაკ №-ში მდგომ ნაწილების უჯრედებთან. სწარმოებდა მიმაგრება პარტ. ამხანაგებისა. უჯრედის ხელმძღვანელობით კომპარტია და კომკავშირი შეერთებული ძალით დაეხმარა მრავალ ობლებს და ღარიბ გლეხებს ყანის დამუშავებაში.

1 აპრილიდან № 3-მე კომ უჯრედმა მოაწყო 2 დახურული და 4 ღია კრება. ამ კრებებზე იქნა გარჩეული 19 კითხვა. ბიუროს მოუწვევია 6 ბიუროს სხდომა და გაურჩევია 17 კითხვა.

უჯრედში შემოსულა 17 განცხადება კომპარტიაში კანდიდატად და წევრად გადარიცხვის შესახებ. ამ რიცხვიდან 8 კაცი იქნა მიღებული, ხუთის საქმე იქნა დროებით გადადებული და ოთხს უარი ეთქვა.

საერთოდ უჯრედი კომპარტიაში მიღების საკითხს დიდის სიფრთხილით ეპყრობა.

კრებებზე ხშირად კეთდებოდა კოლექტიური მოხსენებები კურსანტებისა და მეთაურების მიერ. უჯრედი აგრეთვე ხელმძღვანელობდა ახ. ლ. კ. კ., ეხმარებოდა მას ყოველგვარ საკითხების გადაჭრაში.

10 ივლისს ბიუროს მდივანმა კრებას გაუკეთა მოხსენება სამი თვის უჯრედის მუშაობის შესახებ.

კრებამ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა ბიუროს მუშაობა და იქნა არჩეული ახალი ბიურო.

უსურვებთ ახალ ბიუროს შემადგენლობას კიდევ მეტ ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას.

სამხკორი შაქრო.

## ჩვენს კომუჯრედში.

ჩვენი სკოლის გარეშე მუშაკების კურსანტების შემადგენლობა ასეთია: 10 კაცია პარტიის წევრი, 11 კანდიდატი და 7 კაცი კომკავშირელი.

ამას წინად ჩვენ განვიზრახეთ ცალკე უჯრედის დაარსება. ამ მიზნით 18 ივნისს მოვიწვიეთ კრება, სადაც დაგვესწრო წითელ დროშოვან არმიის წარმომადგენელი ამხანაგი ვასილიევი. ამ კრებაზე გადასინჯულ იქნა ყველა ამხანაგების პარტ-ბილეთები, ავირჩიეთ კომუჯრედის პრეზიდიუმი და მდივანი.

17 ივლისს კვლავ მოვიწვიეთ კრება. დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: 1) მე-14 პარტ-კონფერენციის დადგენილებების შესახებ და 2) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბუდიაკინმა რუსულ ენაზედ, თანამომხსენებლად გამოვიდა ამხანაგი სლატინსკი. ამხანაგებმა ვრცლად გააშუქეს ყველა ის საკითხები, რომელიც იდგა მე-14-ტე კონფერენციის დღის წესრიგში. იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც სათანადო პასუხი გასცეს მომხსენებლებმა.

მიმდინარე საკითხებში გარჩეული იქნა სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხები კურსანტთა ცხოვრებიდან.

კრება დაიხურა საღამოს 9 საათზე.

პარტკორი წ. ა. ო-ვი.

## როგორ ჩატარდა წიგნის კვირეული ჩვენთან.

ჩვენ ლეგიონში წიგნის კვირეულის ჩასატარებლად მზადება დაიწყო ივლისის პირველ დღეებიდან. ლეგიონის კლუბის გამგეობამ კვირეულის ბრწყინვალედ ჩატარების მიზნით გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა „წიგნის კვირეულის" ჩასატარებლად ყოველივე საშუალებების გამონახვა.

კვირეულის ჩატარებაში ჩაბმული იქმნა, როგორც უფ-პოლიტშემადგენლობა, ისე ძირითადი და ცვალებადი წითელი მოლაშქრენი. პოლიტ-საათზე ორ-ორი საათი დათმობილი ჰქონდა თემას წიგნის კვირეულთან დაკავშირებით; როგორც ბიბლიოთეკა-სამკითხველოში, ისე ლენინის კუთხეებში გამოკრული იქმნა პლაკატები და ლოზუნგები წიგნის მნიშვნელობის შესახებ. სწარმოებდა გაზეთების ხმა-მაღალი კითხვა და საუბრები აღნიშნულ თემაზე. კედლის გაზეთებში, უმთავრესი ადგილი დათმობილი ჰქონდა წიგნის მნიშვნელობის საკითხებს.

გვინდოდა მოგვეწყო სპეციალური „წიგნის კვირეულის" საღამო, სადაც დაიდგმებოდა ამ დღისთვის ამორჩეული პიესა „წითელი წიგნი" და სხვა, მაგრამ სხვა და სხვა დამაბრკოლებელი მიზეზების გამო ვერ მოეწყო.

სამხკორი ნ. ას—ნი

## ცუდი ხარისხის პური გვეძლევა.

ქარ. ცხენოსანი ლეგიონი.

ქართულ ცხენოსან ლეგიონის მუდმივ ბინაზე საყარაულოდ დარჩა სამნეო ჯგუფის წითელ-არმიელები. უნდა ითქვას, რომ არა ყველაფერი არის რიგზე ჩვენთან ძალიან ცუდი ხარისხის პური გვეძლევათ. პურის გაუმჯობესების შესახებ მივმართეთ სამხედრო კომისარს, მაგრამ ჯერ-ჯერობით გაუმჯობესებულ პურს ვერ ვხედავთ, პირიქით ამ რამოდენიმე დღის წინად დაობებული და მატლიანი პური მივიღეთ.

არც სამკურნალო საქმე არის კარგად დაყენებული. ამხ. ფერშალს იშვიათად თუ ნახავთ ქსენონში. არ არის აგრეთვე საჭირო წამლების საკმაო რაოდენობა.

დროა ყოველივე ამ ნაკლს დაუყონებლივ მიექცეს ყურადღება ლეგიონის მესვეურების მიერ და ერთხელ და სამუდამოთ გამოსწორებულ იქმნას.

სამხკორი გ. დარჯანია.

## ყბედი მეკუჭნავე.

მე-2 ლეგიონი.

მე 2-რე ქართულ მსროლელ ლეგიონის სკოლაში არის მეკუჭნავე გვარად პილიევი. აღწერელია ამ პიროვნების უხეშობა.

არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მასთან მისული კურსანტი რაიმე საჭიროებისათვის მას ლანძღვა-გინებით და უშვერი სიტყვებით არ გაესტუმრებიოს. მასთან ის უკადრისობს კურსანტების ამხანაგობას.

საჭიროა მის თავგასულობას ფრთები შეეკვეცოს.

დიდი საყვირა.

**ამხ. ამხ. სამხკორებო, მოიწერეთ თქვენი ნაწილის ცხოვრებიდან.**

## ამბები სოფლებიდან.

**მიჯნების ნიშანთა რაოდენობა.**

უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში სიღნაღის მაზრაში მოეწყო 4924 სამიჯნო ნიშანი.

**აფთიაქი სვანეთში.**

მედიკამენტებით ვაჭრობის სახელმწიფო სამმართველომ სოფ. ჩილახერში (სვანეთშია) გახსნა აფთიაქი.

**საექიმო პუნქტი.**

სოფ. პანკისში (თელავის მაზრა) გაიხსნა საექიმო პუნქტი. მოწვეულია შინაგან სნეულების ექიმი და დოსტაქარი.

**ახალი ხიდი.**

სენაკში შეუდგენ მდ. ციცუნის ხიდისა გებას.

**ტყის დამუშავება.**

ოზურგეთის აღმასკომმა დაადგინა მოაწყოს სატყეო განყოფილება, რომელიც დაამუშავებს მაზრაში ტყეებს და დაამზადებს საჭირო საშენ მასალას.

## საქართველოს ცაკში.

— **საქ. ცაკმა მიიღო დადგენილება** ოჯახურ პირობების მიხედვით ჯარში გასაწვევ მოქალაქეთა შეღავათების მიცემის შესახებ.

— **გეოლოგიური ინსტიტუტი.** საქ. ცაკმა მიიღო დებულება განათლების კომისარიატთან გეოლოგიურ—გამომკვლევ ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

## ახალი ამბები

— **სკოლების შეკეთება** თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა კომუნალურ განყოფილებას დაათვალიეროს განათლების განყოფილების შენობები და დაჩქარებით შეუდგეს მათ შეკეთებას.

— **შენობების შესაკეთებლად.** თბილისის აღმასკომის სამხედრო სექციამ სთხოვა თბილისის აღმასკომს გასცეს 84.000 მანეთი სამხედრო ნაწილებისა და დაწესებულებების შენობათა შესაკეთებლად.

— **საზოგადო სამუშაოზე.** ტფილისის აღმასკომის სამხედრო სექციამ შრომის კომისარიატის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა საზოგადო სამუშაოზე პირველ რიგში იქნენ გაშვებულნი უვადო შვებულებაში მყოფი წითელ არმიელები.

— **ახალი კოლხელშეკრულება.** ტფილისის დამხლევე საღაროში და დგინა დასდოს ახალი კოლექტიური ხელშეკრულება 1925—26 წლისა. ახალ ხელშეკრულებაში განზრახულია პირველ ხარისხის დავრდომილთა დახმარების გადიდება.

— **მატყლის დამზადება.** ივნისის განმავლობაში მატყლის დამამზადებელმა ორგანიზაციამ ა. კავკასიაში დაამზადა 16.574 ფუთი მატყლი.

— **საბინაო კოოპერაცია.** ქუთაისის რკ. გზ. საბინაო ამხანაგობას გადაეცა რამოდენიმე დესიატინა მიწა მუშათა სახლების ასაგებათ.

— **„გლეხის გაზეთი-"ს გაყიდვა.** სრულიად საკავშირო ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში დადგენილ[illegible] გაფართოვდეს გავრცელება გაზეთ „გლეხის გაზეთი-"სა.

— **პროფსკოლათა გახსნა** თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა მომავალ სამოსწავლო წლიდან გაამრავლოს პროფსკოლათა რიცხვი ტფილისში.

— **პირველ რიგში.** საქ. მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატმა დაადგინა მომავალ სამუშაო წელში პირველ რიგში მოახდინოს მიწათ-მოწყობა სიღნაღის მაზრაში.

— **პირობების გამოსარკვევად.** შრომის სახ. კომისარიატის შრომის ბაზრის განყოფილებამ დაადგინა გაგზავნოს წარმომადგენელი სამტრედიაში საზოგადო სამუშაოზე მომუშავეთა შრომის პირობების გამოსარკვევად.

— **საექიმო შემოწმება** საქ. შრომის სახ. კომისარიატმა მიმართა ტრამვაის ადმინისტრაციას მოახდინოს სამსახურში მისაღებ ვატმანების, კონდუქტორების და ლიანდაგის დარაჯების საექიმო შემოწმება.

— **სამრეცხაო.** ტფილისის ტრამვაის დირექციამ დაადგინა მოაწყოს სპეცტანისამოსების ცალკე სამრეცხაო მუშებისათვის.

— **შრომის დაცვის** განყოფილებამ მიმართა ყველა წარმოებებს მოახდინონ ადგილობრივ მუშების სპეცტანისამოსთა რეცხვა იმ წარმოებებში, სადაც სამრეცხაოები არ არის, ადმინისტრაცია აძლევს მუშებს საპონს.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლის № 1 უჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ კურსანტ გრიგოლი მესხს. თუ ვისმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო ვსთხოვთ გვაცნობოს 10 დღის განმავლობაში.

ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლის № 1 უჯრედში.

№ 1 უჯრედის ბიურო.

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის № 3-მე კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ. ამხ. ილარიონ არსენის-ძე ხობუას ახ. ლ. კ. კავშირის წევრი 1918 წლიდან. თუ ვისმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო გვაცნობეთ ორი კვირის განმავლობაში. ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის № 3-მე კომუჯრედში.

1 ლი ქარ. მსრ. დივ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება წითელ-არმიელ კომკავშირის წევრს ამხ. ვალერიანე რემანოზის-ძე ვეფხვაძეს, მცხ. გორის მაზრის ქალაქ ხაშურის, პარტიაში კანდიდატათ შესვლის შესახებ. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: პირველი ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედი.

**დაიკარგა** საქართველოს სამხედრო კომისარიატიდან მოცემული წითელი არმიელის ივანე კუკუჯანაშვილის სახელზე პირადი წიგნაკი № 13 სხვა და სხვა მოწმობებთან ერთად. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.